აგვისტო, 2025

აქა მშვიდობა!

ევროკავშირი სახელმწიფოების გაერთიანებაა, რომელიც 70 წელზე მეტია უზრუნველყოფს მშვიდობას ევროპის კონტინენტზე

კავშირის როლი

დასავლეთის დიპლომატიური მხარდაჭერის მნიშვნელობა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს და ევროკავშირთან მჭიდრო კავშირის როლი აგრესიის შეჩერებაში

გვერდი 2-4

(სა)ზღვარზე

რუსული მავთულხლართი - ოკუპაციის რკინის ბილიკებზე

გვერდი 6-7

დანაკარგი

დაუსრულებელი ომის დანაკარგები

გვერდი 4-6

მშვიდობა

როგორ აირჩია ევროპამ შვიდობა და სტაბილურობა?!

გვერდი 7-8

მშვიდობის საზოგადოება

PEACE SOCIETY

დასავლეთის დიპლომატიური მხარდაჭერის მნიშვნელობა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს და ევროკავშირთან მჭიდრო კავშირის როლი აგრესიის შეჩერებაში

2008 წლის აგვისტოში საქართველო რუსეთის სამხედრო აგრესიის წინაშე აღმოჩნდა.
რთულად პროგნოზირებადი რუსეთისაგან საფრთხე რომ არსებობდა ეს ქართველებმა მუდამ ვიცოდით,
თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს რუსეთი საკუთარი ინტერესებისთვის რისკის შემცველად აღიქვამდა და
ყოველგვარი საშუალებებით ცდილობდა ჩვენი ქვეყნის დესტაბილიზაციას,
რომ დასუსტებულ ქვეყანას რუსეთს იქით გზა ვერ ეპოვა.
2008 წლის აგვისტოს ომი, ჩემი აზრით, იმ ხანგრძლივი, ზოგჯერ ღია და ზოგჯერ ფარულად მიმდინარე ომის
გაგრძელებაა, რომლის პერმანენტული სამიზნეც თავისუფლებისმოყვარე საქართველო იყო.

ვიდრე ამ ომის ზოგადად გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე ვიტყოდე რაიმეს, მინდა მკითხველმა წარმოიდგინოს თუ რას განვიცდიდი იმ დღეებში, მე როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციის საერთაშორისო ურთიერთობების მოხელე, პრეზიდენტ სარკოზის მედიაციით გამართულ მოლაპარაკებებში ჩართული და ამავდროულად, იმ რეგიონის მკვიდრი, რომელიც ცეცხლის ალში გაეხვა და რუსული ტანკების ალყაში მოექცა.

დავიბადე და გავიზარდე გორში, სოფელ ფლავისმანში, ბავშვობის ნაწილი იმ მთებსა და ტყეებში მაქვს გატარებული, სადაც ხშირად დავდიოდი თხილის საკრეფად, საქონლის საძოვრად თუ ფხლის საკრეფად; და რომელიც დღეს ასე უტიფრად, უსამართლოდ და უპატიებლად უცხოეთად გამომიცხადეს, გამოგვგლიჯეს და მავთულხლართებით შემოგვიღობეს. აგვისტოს დასაწყისიდანვე, ჩემს სოფელში განცდა გაჩნდა, რომ რუსები რაღაცისთვის ემზადებოდნენ, გახშირდა ჩვენი პოლიციის პოზიციებზე თავდასხმები, სხვადასხვა სახის პროვოკაციები. ომის წინა დღეებში, საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, თუ როგორ გადაჰქონდათ ცხინვალის მიმართულებით სატვირთო მანქანებით თავისი ავეჯი და საოჯახო ნივთები მეზობელ ოსებს სოფელ ღრომიდან და ზემო არცევიდან. ცხადია, ბევრი ქართველი და ოსი იცნობდა ერთმანეთს, მით უფრო, რომ ამ სოფლის მცხოვრებ ოსებს ცხინვალში წასასვლელად ჩემს სოფელზე უნდა გავლოთ. ჩემს ბავშვობაში ბევრჯერ ჩვენს სახლშიც გაუთენებიათ ღამე ოსებს, უამინდობის ან შემოღამების გამო რომ ვეღარ გაუგრძელებიათ გზა. ჰოდა, მათ უთქვამთ ჩემი სოფლელებისთვის, რომ ომი დაიწყებაო. როგორც ჩანს, ისინი წინასწარ გააფრთხილეს დაგეგმილი ომის შესახებ. ქართველები კი აინუნშიც არ იყვნენ და ოსების ეს პანიკა ეუცნაურებოდათ სოფელში.

ომი, რომელიც სულ რამდენიმე დღე გაგრძელდა, მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური და დიპლომატიური გაკვეთილი გახდა, როგორც საქართველოსთვის, ისე საერთაშორისო საზოგადოებისათვის. კრიზისმა თვალსაჩინო გახადა დასავლეთის, კერძოდ ევროკავშირის პოლიტიკური და დიპლომატიური მხარდაჭერის მნიშვნელობა. მათ მიერ გაწეულმა ძალისხმევამ, განსაკუთრებით კი საფრანგეთისა და პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის ჩარევამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ცეცხლის შეწყვეტისა და ვითარების სტაბილიზაციის პროცესში.

ომის იარები დღემდე მოუშუშებელია, კოლექტიური მეხსიერება კვლავ ტრავმირებულია. ომის წინაშე შიშს ჰიბრიდული მეთოდებით ეფექტურად იყენებს რუსეთი და საკუთარი სამხედრო სიძლიერით აშინებს მეზობელ ქვეყნებს, რათა მასთან ურჩობა ვერავინ გაბედოს. ნიადაგ ცდილობს ევროპის როლი დააკნინოს, მისი იმიჯი შელახოს და ერთმორწმუნე რუსეთთან ურთიერთობის უპირატესობაში დაარწმუნოს ჩვენი მოსახლეობა. ამიტომ, მნიშვნელოვანია ჩვენმა მოსახლეობამ იცოდეს, იმ სიკეთეების შესახებ, რაც უანგაროდ, უხმაუროდ გაუკეთებია ევროპას საქართველოსთვის, ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის. კარგია თუ გავაცნობიერებთ, რომ ევროკავშირს ჩვენთან არათუ ტერიტორიული პრეტენზიები არ გააჩნია, არამედ აქტიურად გვეხმარება ჩვენი სუვერენიტეტის განმტკიცებასა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაში.

ამიტომაც, შევედები გავიხსენო და შევაფასო დასავლეთის პოლიტიკური მხარდაჭერა და მისი მნიშვნელობა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს.

საქართველოს დასავლელმა პარტნიორებმა კონფლიქტის პირველივე დღეებიდანვე, როგორც დიპლომატიური გზავნილებით, ისე პრაქტიკული ნაბიჯებით მკაფიოდ გამოხატეს მხარდაჭერა ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. შეერთებულმა შტატებმა, ევროკავშირმა და სხვა ევროპულმა ქვეყნებმა მკაცრად დაგმეს რუსეთის ქმედებები. დასავლეთის ქვეყნებიდან წამოსული ეს მკაფიო პოლიტიკური სიგნალები მნიშვნელოვანწილად დაეხმარა საქართველოს, რომ რუსეთი, თავისი სამხედრო მოქმედებების გამო საერთაშორისო იზოლაციის საფრთხის წინაშე აღმოჩენილიყო.

გარდა ამისა, აშშ-ს ჰუმანიტარული დახმარება და აშშ-ს სამხედრო საჰაერო ძალების ტრანსპორტის გამოჩენა თბილისის აეროპორტში მნიშვნელოვან სიმბოლურ აქტად აღიქმებოდა, როგორც საგარეო მხარდაჭერის დემონსტრაცია.

გარდა ამისა, დასავლური მედიის და დიპლომატიური არხების საშუალებით, საქართველომ შეძლო აგრესიის თემა საერთაშორისო დღის წესრიგში მოექცია და უზრუნველეყო, რომ საკითხი რეგიონის შიდა კონფლიქტად არ დარჩენილიყო.

ევროკავშირი და საქართველო: მჭიდრო პოლიტიკური კავშირის როლი

ევროკავშირი ომის დროსა და შემდგომი კრიზისის პერიოდში მნიშვნელოვნად ჩაერთო საქართველოს საქმეში. 2008 წლისთვის ევროკავშირსა და საქართველოს შორის უკვე აქტიურად ვითარდებოდა პოლიტიკურად მნიშვნელოვანი პარტნიორობა, რომელიც საფუძვლად დაედო კრიზისულ ვითარებაში ევროკავშირის სწრაფ და ეფექტიან რეაგირებას. ეს პარტნიორობა გამყარებული იყო ევროპული სამეზობლო პოლიტიკითა და ევროკავშირთან საქართველოს დაახლოების სურვილით.

შესაბამისად, ევროკავშირი, როგორც საერთაშორისო აქტორი, კრიზისის დაწყებისთანავე ჩაერთო დიპლომატიურ პროცესში. მისი ჩართულობა სამი ძირითადი კომპონენტის გარშემო გაერთიანდა, ესენია:

- **პოლიტიკური შუამავლობა**
- **საგანგებო დიპლომატიური ვიზიტები**
- **სამეთვალყურეო მისიის ჩამოყალიბება და მისი ოპერატიულად ამოქმედება (EUMM)**

ევროკავშირის პოლიტიკა იმ პერიოდისათვის ეფუძნებოდა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში საქართველოსთან მჭიდრო თანამშრომლობას, რაც კრიზისში მყისიერ დიპლომატიურ ჩარევას დაედო საფუძვლად.

საქართველოსთვის ევროკავშირთან მჭიდრო პოლიტიკური კავშირი არამარტო მხარდაჭერის მნიშვნელოვანი გამოხატულება იყო, არამედ მძლავრი დიპლომატიური ბერკეტი, რომლის მეშვეობითაც ქვეყანამ შეძლო საერთაშორისო დონის მოლაპარაკებების ინიციირება. ევროკავშირის აქტიურობამ ხელი შეუწყო რუსეთის ქმედებების გარკვეულწილად შემაკავებელ ეფექტს, რადგან მოსკოვი ვერ უგულებელყოფდა ევროპულ რეაქციას.

პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის როლი

ჩემთვის, როგორც ფრანგულენოვან ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხებში მრჩევლისთვის, მნიშვნელოვანი იყო, რომ საფრანგეთი 2008 წელს როტაციის მიხედვით ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა გახლდათ. სწორედ ეს ფაქტორი იქცა გადამწყვეტად საფრანგეთის როლის გააქტიურებისთვის. პოლიტიკურად აქტიურმა ქვეყნის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარემ, აქტიური შუამავლის როლი იკისრა და მოლაპარაკებების გზით მიაღწია კიდეც ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას.

სარკოზი ჯერ მოსკოვში, შემდეგ კი თბილისში ჩამოვიდა და პირდაპირ და უშუალოდ აწარმოვა მოლაპარაკებები რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკურ ლიდერებთან. მის ძალისხმევას შედეგად 6 პუნქტიანი შეთანხმება მოჰყვა. მართალია, ამ შეთანხმების ზოგიერთი პუნქტი დღემდე სრულად არ არის შესრულებული, განსაკუთრებით რუსეთის სამხედრო ძალების განლაგების საკითხი, რაც შეთანხმებით 7 აგვისტოს დისლოკაციის მდგომარეობას უნდა დაჰბრუნებოდა, ამასთან ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მონიტორინგის დაშვება რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. მომავალი შეაფასებს ამ შეთანხმების ისტორიულ მნიშვნელობას, თუმცა, ამთავითვე უნდა ითქვას, რომ შეთანხმებამ ხელი შეუწყო ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების შეწყვეტას და საფუძველი ჩაუყარა შემდგომში ეგრეთ წოდებულ ჟენევის ფორმატში მიმდინარე საერთაშორისო მოლაპარაკებებს.

საფრანგეთის, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის როლი

კრიზისზე რეაგირების თვალსაზრისით ცალკე მინდა აღვნიშნო საფრანგეთის, როგორც იმდროინდელი ევროკავშირის თავმჯდომარის და განსაკუთრებით მისი პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის როლი. საფრანგეთის დიპლომატიურმა აქტიურობამ ევროკავშირის ერთიან პოზიციას მისცა ძალა და საშუალება. სარკოზის ოპერატიულობამ და პოლიტიკურმა ნებამ ხელი შეუწყო პროცესების დროის მომენტში მართვას და ცეცხლის შეწყვეტის მიღწევას. ასევე, გავბედავ და ვიტყვი, რომ წინამორბედი ჩეხეთის და საფრანგეთის შემდეგ მომავალი შვედეთის ევროკავშირის თავმჯდომარეობის შემთხვევაში საეჭვოა, იგივე ოპერატიულობით მომხდარიყო ევროკავშირის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მობილიზება.

2008 წლის 8 სექტემბერს თბილისში ვიზიტისას ნიკოლა სარკოზიმ დადებული პირობა შეასრულა და ევროკავშირმა მალევე, კერძოდ 15 ოქტომბრიდანვე ჩამოაყალიბა სადამკვირვებლო მისია საქართველოში (EUMM), რაც კვლავაც გამოხატავდა ევროპის მზაობას, უზრუნველეყო სტაბილურობა და ხელი შეეწყო კონფლიქტის შემდგომ პროცესებზე მონიტორინგი.

საფრანგეთისა და ევროკავშირის პრეზიდენტისა და ოფიციალური დელეგაციის ვიზიტების მომზადებაში უშუალოდ ვიყავი ჩართული, 6 პუნქტიანი შეთანხმების ტექსტი რომ დგებოდა, თითო ტერმინს ვათანხმებდით, რომ ამ მნიშვნელოვან დოკუმენტში რაიმე უზუსტობა, ან სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობა არ გაპარულიყო. იმდენად ექსტრემალურ პირობებში მიმდინარეობდა მოლაპარაკებების პროცესი, რომ მე და ბერნარ კუშნერის მაშინდელი მრჩეველი იზაბელ დუმონი (ამჟამად საფრანგეთის ელჩი თურქეთში) მუხლებზე დადებულ ფურცლებზე ვიწერდით პოლიტიკოსების მიერ შეთანხმებულ ფორმულირებებს, ის ფრანგულად, მე ქართულად და შემდეგ ვადარებდით ტექსტს, რომ უზუსტობა არ დაგვეშვა.

2008 წლის 12 აგვისტოს გვიან ღამემდე გაგრძელდა 6 პუნქტიან შეთანხმებაზე მოლაპარაკებები საქართველოს პარლამენტის შენობაში. გარკვეული ცვლილებების შესათანხმებლად ნიკოლა სარკოზის დიმიტრი მედვედევთან დარეკვა და მისი გაღვიძება მოუწია. მოლაპარაკებათა ოთახში აღწევდა რუსთაველის გამზირზე შეკრებილი ათასობით ადამიანის შეძახილები.

რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოს ომის გამოცდილება ნათლად აჩვენებს, რომ საერთაშორისო დიპლომატიური მხარდაჭერა და მჭიდრო კავშირი ისეთ ორგანიზაციებთან, როგორიცაა ევროკავშირი, წარმოადგენს საქართველოსთვის სტრატეგიულ მნიშვნელობის ფაქტორს. ევროკავშირის აქტიურობამ, საფრანგეთის თავმჯდომარეობის პირობებში, არა მხოლოდ ომის შეჩერება უზრუნველყო, არამედ დაადასტურა ევროპული ინსტიტუტების გავლენა რეგიონულ უსაფრთხოებაზე.

ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროკავშირის ეს ჩართულობა მნიშვნელოვნად განასხვავებს ქართულ გამოცდილებას, მაგალითად, უკრაინის 2014 წლის შემდგომი ომისგან, რადგან ევროკავშირმა საქართველოში მოახერხა პირდაპირი ფიზიკური ჩართულობა კრიზისის შემდეგ.

2008 წლის ომის გამოცდილება ადასტურებს, რომ დასავლური პოლიტიკური და დიპლომატიური ჩარევა, განსაკუთრებით ევროკავშირის ფარგლებში, გადამწყვეტ როლს თამაშობს რეგიონული კონფლიქტების დეესკალაციისა და სტაბილურობის შენარჩუნებაში. საფრანგეთის თავმჯდომარეობის პირობებში ევროკავშირმა შეძლო სწრაფი რეაგირება და პრეზიდენტ სარკოზის შუამავლობით მიაღწია ცეცხლის შეწყვეტას, რაც საქართველოსთვის არსებითად მნიშვნელოვანი გახდა.

ომი — ადამიანობის მწარე გამყოფი და სოციალური დილემა

ომი, თავისთავად, საშინელებაა — ის არღვევს ადამიანურ ბუნებას, ყოფს ადამიანებს და აცილებს მათ ერთმანეთს. ყველაფერი, რაც წლობით, თაობების მიერ აშენებული და მოპოვებული ნდობით, თანაცხოვრებითა და ურთიერთპატივისცემით იქმნებოდა, ერთ მომენტში ინგრევა.

იკარგება ურთიერთგაგება, ჩნდება შიში, ღვივდება სიძულვილი და შურისძიების დაუცხრობელი წყურვილი, რომელიც შემდეგ, წლობით შეუძლებელს ხდის შერიგებას.

დაუნდობელი რეალობა ის არის, რომ ომი არა მხოლოდ ფიზიკურ საზღვრებს, არამედ ადამიანურ კავშირებსაც არღვევს. ნათესაური ურთიერთობები, ნათელ-მირონობა, მეზობლობა და მეგობრობა — ყველაფერი ეს ერთ დღეში შეიძლება უნდობლობისა და მტრული განწყობის კედლით გაიყოს.

ადამიანებს უწევთ უარი თქვან მათთვის მანამდე ძვირფას კავშირებზე, ხშირად საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ შორის გადის არა გეოგრაფიული, არამედ იდეოლოგიური, პოლიტიკური ან მორალური საზღვარი.

ომი ანადგურებს ყველაზე ფასეულს — იმ სივრცეს, სადაც ადამიანები უბრალოდ ადამიანები იყვნენ, ეროვნების, რწმენისა თუ პოლიტიკური შეხედულებების მიღმა.

ამიტომაცაა სახალხო დიპლომატიის როლი უმნიშვნელოვანესი, კერძოდ, თანაცხოვრების კეთილი მეხსიერების მატარებელი ადამიანების როლია მნიშვნელოვანი, რომლებსაც ომის გარდა ბევრი სიკეთე და საერთო მოგონებები აქვთ გასახსენებელი ოსურ-ქართული ურთიერთობებიდან.

სახალხო დიპლომატია — ხიდია ხალხებს შორის და იგი ეფუძნება არა პოლიტიკურ განცხადებებს ან შეთანხმებებს, არამედ — **გულისხმიერებას, წარსულის გაზიარებულ გამოცდილებას და ერთმანეთისადმი პატივისცემას**, რაც ხალხებს შორის ნდობის შენარჩუნების საშუალებას იძლევა მაშინაც კი, როცა სახელმწიფოებრივ დონეზე ურთიერთობები რთულდება.

სწორედ აქ იჩენს თავს **მეხსიერების მატარებელ ადამიანთა მნიშვნელობა** — ისინი, ვისაც ომის და კონფლიქტის მიღმაც ახსოვთ ურთიერთგატანა, მეგობრობა, საერთო ჭირისა და ლხინის დღეები. **ოსურ-ქართული ურთიერთობები** ბევრ ასეთ საერთო მოგონებებს, გულწრფელ ურთიერთობასა და ერთმანეთის გვერდში დგომის მაგალითს იტევს.

ასეთი ადამიანები არიან ცოცხალი ხიდები ორ ერს შორის. მათ შეუძლიათ ომის მეხსიერებაზე მეტად **მხოლოდ სითბო და თანაარსებობის სინათლე გააქტიურონ საზოგადოების მეხსიერებაში**. სახალხო დიპლომატია სწორედ ამ ადამიანებზე დგას — მათ სიტყვაზე, მათ ემოციაზე და მათ მზადყოფნაზე, რომ პოლიტიკის მიღმაც დარჩეს ცოცხალი კავშირი. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენი ერთმანეთზე გადაკიდება მესამე ძალის ინტერესშია და რომ ჩვენ ხელახლა უნდა ვისწავლოთ თანაცხოვრება, რადგან ვერც გეოგრაფიას შევცვლით და საერთო მშვიდობის ინტერესიც ამას გვავალდებულებს.

ᲒᲝᲩᲐ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

საქართველოს ყოფილი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთის რესპუბლიკასა და მონაკოში,
საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი იუნესკოში,
2008 წლის აგვისტოს პერიოდში იყო საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის
საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის დირექტორის მოადგილე

დაუსრულებელი ომის დანაკარგები

ასზე მეტი დაკარგული სოფელი, ოთხასზე მეტი დაღუპული, ათი ათასობით დევნილი და ჯერაც დაუთვლელი ადამიანური ტრაგედიები - ასე შეიძლება მოკლედ აღიწეროს ის ზიანი, რაც საქართველოს რუსეთის არმიამ 2008 წელს აგვისტოს ომის შემდეგ მიაყენა.

ომის ირიბ დანაკარგებს შორის არის ოკუპირებული ტერიტორიიდან ქართული ენის სრულად განდევნის მცდელობები, ქართული კულტურული კვალის წასაშლელად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, მაგალითად ტაძრების განადგურება და დე ფაქტო ცხინვალიდან უკრაინის ომში რუსეთის მხარეს საბრძოლველად გაგზავნილი ჯარისკაცების სიცოცხლე.

2008 წლის აგვისტოს ომს
850 ადამიანის **სიცოცხლე ემსხვერპლა**.
დაღუპულების ნახევარი - 412 საქართველოს მოქალაქეა.
მათგან, 228 იყო სამოქალაქო პირი,
170 სამხედრო და 17 პოლიციელი.
საომარი მოქმედებების დროს **დაშავდა 1 747** ადამიანი,
უგზო-უკვლოდ დაკარგულად კი ითვლება
10 სამხედრო და 14 პოლიციელი.
კონფლიქტს ემსხვერპლა სამი რეპორტიორის სიცოცხლე,
12 ჟურნალისტი საომარი მოქმედებების გაშუქებისას დაიჭრა.

„ომი არ არის მხოლოდ კონკრეტული მოვლენა, რომელიც მოხდა და დასრულდა და ცხოვრება გაგრძელდა. ის მთლიანად ცვლის ადამიანის ცხოვრებას — პიროვნებას, არჩევანს, თვითშეფასებას. 17 წელია გასული და ტრავმები ჯერ კიდევ რაღაც თითქოს დაუხურავი ჭრილობებივითაა.

მაგალითად, დღემდე მეშინია მძაფრი ხმების და სივიწროვის. სანამ გავიაზრებ, რა ხდება, პანიკური შეტევა მეწყება. ომის დღეებში, ყოველ ჯერზე როცა ვერტმფრენი გადაუფრენდა სახლს, ბავშვები პატარა სარდაფში ჩავყავდით და იქ უნდა ვყოფილიყავით ჩუმად“ - გვიყვება ლილია ზაქარაშვილი სოფელ დვანიდან, რომელიც 2008 წელს 11 წლის იყო. ბავშვობაში თავს დატეხილმა ომმა მას და მის ოჯახს ბედი შეუცვალა: ოჯახი გაიყო, მოხუცები საოკუპაციო ხაზთან მშობლიურ სოფელში დარჩნენ, ბავშვები მშობლებთან ერთად დედაქალაქში გადავიდნენ საცხოვრებლად და სადღაც გაქრა უსაფრთხოებისა და სიმშვიდის განცდა.

2008 წლის შემდეგ დე ფაქტო რეჟიმის კონტროლის ქვეშ მოექცა:

დიდი ლიახვის ხეობაში: თამარაშენი, ზემო და ქვემო აჩაბეთი, ქურთა, კეხვი, ქემერტი, ზეითი, სვერი, ძარწემი.

პატარა ლიახვის ხეობაში: ერედვი, ვანათი, ბელოთი, ზემო ფრისი, აწრისხევი, საცხენისი, არგვისი, დისევი, ქსუისი, ჭარები.

კოდორის ხეობაში: საკენი, ომარიშარა, გვანდრა, მარჯვენა და მარცხენა გენწვიში, ხუტია, ზემო და ქვემო აჟარა, მახარი, მრამბა, ხეცკვარა, ჩხალთა, ბუძგური, შაფათკვარა, ზემო და ქვემო ზიმა, აძგარა, ბუჩუკური, ტვიბრაშენი.

ომის შემდეგ ქართულმა მხარემ **კონტროლი დაკარგა 189 სოფელზე**, მათგან **125 სოფელი დღემდე დე ფაქტო რეჟიმების კონტროლის ქვეშ არის.**

2008 წლის ომის შემდეგ დე ფაქტო რეჟიმის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა ახალგორი და ახალგორის ირგვლივ მდებარე სოფლები. ამ ტერიტორიას პერიოდულად საოკუპაციო რეჟიმი ბლოკადასა და ტოტალურ იზოლაციაში აცხოვრებს და მუდმივი ჰუმანიტარული კატასტროფის საფრთხის წინაშე ამყოფებს.

„ერთხელ, როცა სხვა ქალაქში ვცხოვრობდით დროებით, მეზობელ ბავშვთან ვიკამათე და დედამისმა ჩემზე თქვა: „ეგ ისედაც საბრალოა, არაფერი აქვსო.“ ეს სიტყვები დღემდე მახსოვს. მას შემდეგ ყოველთვის ვცდილობდი არავის შევემჩნიე — არც ჩემი ისტორია, არც ჩემი წარმომავლობა. თითქოს, რაც ნაკლებს ვიტყოდი საკუთარ თავზე, მით ნაკლებად შემეხებოდნენ და უფრო მიმიღებდნენ და დღემდე ძალიან მიჭირს დახმარების თხოვნა, მგონია რომ სულ ძლიერი უნდა ვიყო.

ომმა შინ ყოფნის განცდა დაგვაკარგვინა, სამჯერ შევიცვალე სკოლა, უფრო მეტჯერ სახლი, თბილისი-დვანის გზაზე გავიზარდეთ, რაღაცნაირად ცხოვრებამ მუდმივი გზის ფორმა მიიღო“ - გვიზიარებს ომის მსხვერპლობის გამოცდილებას ლილია, რომელსაც ახსოვს, როგორ ჩავიდა მოულოდნელად დვანიდან დედა მის 4 წლის ძმასთან ერთად სამი აგვისტოს ღამეს სურამში, სადაც ის ახლობლების ოჯახში დასასვენებლად ჰყავდა გაგზავნილი და როგორ სთხოვა მასზე ეზრუნა, სანამ დაბრუნდებოდა.

„ჩემ ძმას საშინელი ნავთის სუნი ასდიოდა, მაგ დღეს სოფელში ცეცხლი გაუხსნიათ და მეზობლის სარდაფში დამალულან“ - იხსენებს ლილია. მეხუთე კლასის მოსწავლე ყველაზე დიდი ინტერესით ისტორიას სწავლობდა და მაშინ ეგონა, რომ ომი მხოლოდ ისტორიის ნაწილი შეიძლება ყოფილიყო, როცა უთხრეს, ომი დაიწყოო, უჭირდა მიხვედრა, რას გულისხმობდნენ უფროსები.

„ერთი ამბავი განსაკუთრებით მძაფრად მახსოვს, ზუსტად არ ვიცი ომის მერამდენე დღე იყო, მაგრამ ჩვენამდე მოვიდა ინფორმაცია, რომ კაზაკები დაიქირავესო და ეგეთი შეშინებული დედაჩემი არც მანამდე და არც მას მერე აღარ მინახავს. მითხრა, რომ თუ ჩვენამდე მოვლენ, თმა უნდა შეგჭრა და შენი ძმის ტანსაცმელი უნდა ჩაიცვაო. მაშინ გავბრაზდი, არ მესმოდა რატომ უნდა შემეჭრა თმა. ახლა ვიცი — დედას გაუპატიურების ეშინოდა და ფიქრობდა, თუ ბიჭს დავემსგავსებოდი, შეიძლებოდა გადავრჩენილიყავი“ - ამბობს ის. ლილიას სახლი ომის დროს დაიწვა, თვითონ და ოჯახის წევრები გადარჩნენ, მაგრამ ომი მათთვის შემდეგ წლებშიც გაგრძელდა. 2013 წელს, როცა საოკუპაციო ხაზი გადმოწიეს, მავთულხლართების იქით აღმოჩნდა მათი ოჯახის რამდენიმე ჰექტარზე გაშენებული ხეხილის ბაღი, რომელიც შემოსავლის მთავარი წარო იყო. „ისე დალპა ხეხილი, ვერც მოვკრიფეთო“, აღნიშნავს დანანებით. ერთხელ ბიძამისი გაიტაცეს, რომელიც იმის გამო, რომ სოფლის სიახლოვეს მავთულხლართები უწყვეტად არ არის გაბმული, ისე აღმოჩნდა საოკუპაციო ძალების კონტროლირებად ტერიტორიაზე, რომ ვერც მიხვდა.

„ჩემთვის ყველაზე დიდი ტკივილი ისაა, რომ არაფერი შეცვლილა უკეთესობისკენ, მიუხედავად იმისა, რომ დიდი დრო გავიდა ომიდან. იქ ომი არ დამთავრებულა. ყოველ დღე მიმდინარეობს, არის ეს მცოცავი ოკუპაცია, ხალხის გატაცება თუ უბრალოდ ემოციურად გადაღლილი მოსახლეობა, რომლებსაც ალბათ აღარც აქვს იმედი რომ დაბრუნდებიან სახლებში, ბაღებში.

გარდა იმისა, რომ ომმა ტკივილად დამიტოვა, მოგონებები და ტკივილია ისიც, მამაჩემის და ბებიაჩემის საფლავზე რომ ავდივარ და ზუსტად, პირდაპირ ვუყურებ რუსების სამხედრო ბაზას. არ ვიცი ეს ბედის ირონიაა თუ რა, მაგრამ ყოველ ასვლაზე გული მეგლიჯება. როდესაც ვიაზრებ რომ ჯერ კიდევ აქ არიან, თითქოს ჭრილობები ახლიდან იხსნება და თავს მახსენებს, ყველა ის ემოცია და გრძნობა რაც 2008 წლის აგვისტოში გამოვიარე. რუსების სამხედრო ბაზა, ჩემი სახლიდან დაახლოებით 3 კილომეტრშია“ - გვეუბნება საბა კობახიძე, რომელიც ომის დროს 11 წლის იყო. მას ომის დღეები ცხადად ახსოვს, ისევე როგორც ომის დასრულების შემდეგ რუსული ტანკის ნაკვალევი მის მშობლიურ ქალაქ გორში. საბას მამა ომის დროს პოლიციელი იყო და საომარ მოქმედებებშიც იყო ჩართული.

„ჩვენი სოფლის შემდეგ კიდევ ორი სოფელი იყო, ნული და ავნევი. ამ სოფლებს ჯერ კიდევ ომამდე ესროდნენ მთებიდან და შემაღლებული ადგილებიდან, საპასუხო ცეცხლი ჩვენებისგან არ იყო მაგ პერიოდში. არ ვიცი მაგ დროს მსხვერპლი გვყავდა თუ არა, მაგრამ სროლები ნამდვილად იყო, თან საკმაოდ ხშირადაც. სამწუხაროდ დღეს ნული და ავნევი აღარ არსებობს, მხოლოდ ნანგრევები და ნასახლარებია, მიწასთან გაასწორეს რუსებმა“ - იხსენებს ის და ამატებს, **„რუსები აქ ვეღარასოდეს დაბრუნდებიან, ახალგაზრდები ყველაფერს გავაკეთებთ ამისთვის.“**

ქართული სოფლების სრულად განადგურების გეგმა ომის შემდეგ მალევე ღიად გაცხადდა დე ფაქტო რეჟიმის მხრიდან. დღეს ქართული სოფლების ადგილას უმეტეს შემთხვევაში სრულად არის წაშლილი იქ ადამიანის ცხოვრების კვალი და ნასახლარები ტყეებად არის ქცეული.

ჯერ კიდევ 2017 წელს რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან 4,2 მლდ. რუბლი (იმ დროისთვის დაახლოებით 70 მლნ. დოლარი) გამოიყო, რაც ე.წ. სამხრეთ-ოსეთის რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე უნდა დახარჯულიყო. ამ პროექტის მიზნის მისაღწევად ქართულ სოფლებში დარჩენილი სახლები მძიმე ტექნიკით გაასწორეს მიწასთან.

ზოგიერთ ნასოფლარზე სამხედრო დანიშნულების შენობები აშენდა.

X ლიახვის ქართულ სოფელ ძარწემში რუსეთის ფედერაციის მეოთხე ბაზის სპეციალური სასროლეთია მოწყობილი. ამ სასროლეთზე ხშირად ტარდება სამხედრო წვრთნები, აფეთქებებისა და სროლის ხმა გორის მუნიციპალიტეტის სოფლებამდეც აღწევს.

X 2014 წელს სოფელ ქემერტში დაანგრიეს ქაშუეთის ეკლესია - ამ სოფელში ტერიტორიას სამხედრო ნაგებობებისთვის ამზადებენ.

X სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურების ანგარიშების მიხედვით, ერედვში, ეთნიკური ქართველების ნასახლარებზე, რუსეთის ფედერაციის დაფინანსებით დე ფაქტო რეჟიმი ნაგავსაყრელს აშენებს.

X სოფელ ხუმსარეთის ადგილას მცირე სამხედრო ბაზაა მოწყობილი.

X განადგურებულ თამარაშენს ესაზღვრება ცხინვალში განთავსებული რუსეთის მეოთხე სამხედრო ბაზა, რომელიც 2009 წლიდან არსებობს და წლიდან წლამდე ფართოვდება. მე-4 სამხედრო ბაზის უშუალო ფუნქციაა ცხინვალის რეგიონის უსაფრთხოებისა და სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ინტერესების დაცვა. ბაზა რუსეთის ფედერაციის სამხრეთის სამხედრო ოლქის შემადგენლობაში შედის და კავკასიაში კრემლის სამხედრო-პოლიტიკური გავლენის უზრუნველყოფის საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

X სამხედრო ობიექტია აშენებული სოფელ დისევის ნასოფლარზეც.

უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ცხინვალში მდებარე რუსულ სამხედრო ბაზაზე მომსახურეთა ნაწილი რუსეთის მხარეს საომრად წაიყვანეს. ასიათასობით ომში დახოცილ რუს სამხედროთა შორის ასამდე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გაწვეული ჯარისკაციც არის - მათი ნაწილი გამოცდილი სამხედრო იყო, ნაწილი ახალბედა. არც მსხვერპლის და არც გაწვეულთა ზუსტი რაოდენობის შესახებ ცნობები არ არსებობს, თუმცა სხვადასხვა დროს გაკეთებული განცხადებებით გარკვეული სურათი იხატება:

- **2023 წლის 15 ოქტომბერს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ყოფილმა დე ფაქტო პრეზიდენტმა ანატოლი ბიბილოვმა განაცხადა, რომ უკრაინაში რუსეთის აგრესიაში ცხინვალის რეგიონიდან 1 100 მოხალისეზე მეტი მონაწილეობდა;**
- **გამომძიებელ ჟურნალისტთა ბაზებში, სადაც ღია წყაროებზე დაყრდნობით ითვლიან უკრაინაში რუსეთის მხარის დანა--კარგებს, სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან გაწვეული ათობით ჯარისკაცის მონაცემია თავმოყრილი - ჯამში დაღუპულთა რაოდენობა 100-ს მაინც აღწევს. მათი ნაწილი რუსეთის არმიაში ომამდეც მსახურობდა და სამხედრო წოდებებიც აქვთ მიღებული.**

ნაწილობრივ ოკუპირებულ ქვეყანაში
ომით მიყენებული ზიანი ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების შემდეგაც არ შემწყდარა -
პირობით საზღვართან ადამიანების გატაცება, მათი გათავისუფლების სანაცვლოდ გამოსასყიდის მოთხოვნა, მცოცავი ოკუპაცია და ცხინვალის ციხეში წამებისა თუ არაადამიანური მოპყრობის შედეგად დაღუპულებიც საოკუპაციო რეჟიმის პასუხისმგებლობაა.

ნასტასია არაგული
ჟურნალისტი

რუსული მავთულხლართი - ოკუპაციის რკინის ბილიკებზე

„სოფელი ისეთ ადგილზეა რომ ყველას გვიჭირს, საძოვრები მაგათმა (რუსებმა) წაიღეს, აღარ გვაქვს. ტყე მაგათ წაიღეს, სალოცავი მაგათ წაგვართვეს...“ - ამბობდა კირბალში მცხოვრები გოგია პაპიტაშვილი 2024 წელს. **„სალოცავიც მაგათკენ მოჰყვა... დაკავებულებიც ბევრნი ვართ, იმიტომ რომ ახლოს ვართ, ტყეში ვართ. მეც ვიყავი დაკავებული. ტყეში დაგვიჭირეს და წაგვიყვანეს...“**

გოგია პაპიტაშვილს სიტყვებს მეუღლე, ირმაც დაეთანხმა - **„ადრე ტყეშიც შევდიოდით, მაგრამ ახლა ვეღარ. ნახირიც ვეღარ... აბა სად უნდა.... ერთი ძროხა მყავს და ეგეც უნდა გავყიდო. ამ კაცსაც არ შეუძლია... მერე ხალხმა სად უნდა წაიყვანოს საძოვარზე ...“**

ისტორიები, რომლებსაც საოკუპაციო ხაზის პირა სოფლებში მოისმენთ, ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, შიდა ქართლში ადგილობრივთა ისტორია ერთია. თითქმის ყოველთვიურად ხდება რუსული საოკუპაციო და სეპარატისტული ძალების მიერ უკანონო დაკავებები, მას მოჰყვება ცხინვალში იზოლატორი, დაკითხვები, სასამართლო. უკეთეს შემთხვევაში ჯარიმა და მხოლოდ ამის შემდეგ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე დაბრუნება...

> **„რუსეთ-უკრაინის ომის მიუხედავად, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე კვლავ აქტიურად მიმდინარეობდა უკანონო სამხედრო აქტივობები. საოკუპაციო ძალის მიერ წარმოებდა ანექსიისკენ მიმართული ღონისძიებები. გრძელდებოდა უკანონო დაკავებები და ე.წ. ბორდერიზაციის უკანონო პროცესი...“**
>
> *(ამონარიდი სახელმწიფო უსაფრთხოები სამსახურის უახლესი ანგარიშიდან)*

სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური არ ასაჯაროებს ცხინვალის დე-ფაქტო ძალოვნების მიერ დაკავებების ოფიციალურ სტატისტიკას. ამჯერადაც წერილით მივმართეთ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია. სახელმწიფო სულ უფრო ნაკლებად საუბრობს ამ პრობლემაზე ხმამაღლა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური 2025 წლის 16 ივლისის მონაცემებით, ცხინვალის იზოლატორში უკანონოდ 8 საქართველოს მოქალაქე დაკავებული, სოხუმში კი 2. ამასთანავე 2022 წლიდან მიმდინარე წლის 16 ივლისამდე, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიერ **უკანონო დაკავების 126 შემთხვევა** დაფიქსირდა, რომელთაგან 117 გათავისუფლდა. ამავე პერიოდში საოკუპაციო ძალებმა უკანონოდ დაკავებული **ერთი პირი მოკლეს**.

დაკავებები და ბორდერიზაცია საოკუპაციო ხაზის გასწვრივ კვლავ გრძელდება. შიდა ქართლში საოკუპაციო ხაზი დაახლოებით 390 კილომეტრია, აფხაზეთის მიმართულებაზე კი 120. უნდა აღინიშნოს, რომ ე. წ. ბორდერიზაციის ხაზის დიდ ნაწილზე არ არის მავთულხლართები და საცნობარო ნიშნები განლაგებული, შესაბამისად, სწორედ, ამ ზონებში ნადირობენ ოკუპანტები საქართველოს მოსახლეობაზე.

ჟურნალისტი გოგა აფციაური, რომელიც 20 წელზე მეტია შიდა ქართლში მიმდინარე მოვლენებს აშუქებს, საუბრობს, რომ რუსი სამხედროები სწორედ იმ მოქალაქეებს აკავებენ, რომლებიც თავისდაუნებურად არღვევდნენ საოკუპაციო ხაზს. თუმცა...

„ხშირ შემთხვევაში ჩასაფრებაც ხდებოდა. სხვადასხვა პერიოდით დაკავებული ადამიანები ჟურნალისტებს გვიყვებოდნენ, რომ დე-ფაქტო ძალოვნები ჩასაფრებულები იყვნენ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე და სწორედ იქ აკავებდნენ მათ. შემდეგ მიჰყავდათ ბანერთან, რომელიც დამონტაჟებულია გამყოფ ხაზზე და ფოტოს უღებდნენ. ეს კი ერთგვარი მტკიცებულება იყო თითქოს, მათ გადაკვეთეს ე.წ. საზღვარი.“ - ამბობს ჟურნალისტი გოგა აფციაური და დასძენს, რომ არის გამონაკლისებიც.

უკანონო დაკავების ხანგრძლივობაც იმაზე დამოკიდებულია, დე ფაქტო ხელისუფლება რა მუხლით აღძრავს საქმეს. ჟურნალისტი გოგა აფციაური იხსენებს, რომ ყოფილა შემთხვევაც, როცა უკანონოდ დაკავებული დივერსიის მუხლითაც კი გაასამართლეს.

საქართველოს პოლიციური ძალები ე.წ. საზღვრის გასწვრივ მდებარე ტერიტორიის სრულ კონტროლს ვერ ახორციელებენ. განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი, პოლკოვნიკი ირაკლი შაიშმელაშვილი ამბობს, რომ ამის მიზეზი გეოგრაფიული რელიეფის გარდა, ადამიანური რესურსის სიმცირე, მწირი ინფრასტრუქტურული და ტექნოლოგიური საშუალებებია.

„გატაცებები ძირითადად სამაჩაბლოს მიმართულებაზე ხდებოდა. 2023-ში, თუ არ ვცდები, გატაცების 43 ფაქტი დაფიქსირდა და 2024-ში კი 32. სამწუხაროდ

ამჟამად, სამართლებრივ დონეზე, ან სტანდარტული საოპერაციო პროცედურების დონეზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში გატაცებების პრევენციის არანაირი მექანიზმი არ არსებობს“ - ამბობს პოლკოვნიკი ირაკლი შაიშმელაშვილი, რომელმაც განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი 2024 წლის თბილისის დეკემბრის აქციების დროს დატოვა.

რა ძალებით არის წარმოდგენილი საოკუპაციო მხარე ამ რეგიონში

სამხედრო მიმომხილველი გიგა ინაშვილის გადმოცემით, საოკუპაციო ზოლი განსაკუთრებით გაძლიერებულია ცხინვალის სამხრეთით, სოფელ ნიქოზის მიმართულებაზე, სადაც გათხრილია ტრანშეების და ტანკსაწინააღმდეგო თხრილების ქსელები, მომზადებულია საყრდენი პუნქტები და სხვადასხვა ტიპის საფორტიფიკაციო ნაგებობები. ასევე საფორტიფიკაციო ნაგებობების ქსელით გამაგრებულია ახალგორის მიმართულებაც. ხოლო რაც შეეხება რუსულ ბაზებს, მათი რაოდენობა საოკუპაციო ხაზის პერიმეტრზე 19 შეადგენს.

„მეწინავე ბაზებზე განლაგებულია მრავალფუნქციური კოშკურა ანძები, სადაც განთავსებულია სხვადასხვა ტიპის კავშირგაბმულობის ანტენები და შორეული ოპტიკური დაკვირვებისა და დაზვერვის სისტემები Муром-П. გამორჩეულად მნიშვნელოვან მიმართულებებზე, არსებული ინფორმაციით, პერიმეტრის გამყოფი ხაზის გასწვრივ ჩაყრილი აქვთ მიწისქვეშა სეისმური სენსორული კაბელები, რომელიც ადამიანის ნაბიჯებისას წარმოქმნილ მცირე სეისმურ რხევებზე რეაგირებს და მართვის ცენტრში სიგნალს გადასცემს.“ - ამბობს სამხედრო მიმომხილველი გიგა ინაშვილი.

პოლკოვნიკი ირაკლი შაიშმელაშვილი გულისტკივილით საუბრობს, რომ სახელმწიფო შესაბამის ზომებს არ მიმართავს, რათა უფრო ეფექტიანად დაიცვას მოქალაქეები.

„მქონდა შემუშავებული გეგმა, რომელიც დაფუძნებული იყო შემდეგ მოდელზე: ელექტრონულ რუკაზე უნდა მონიშნულიყო ინციდენტები, საიდან ხდებოდა გატაცებები, მინიჭებოდა პირობითი ფერი. ეს ყველაფერი წარმოდგენილი იქნებოდა მატრიცაში, რათა დროსა და სივრცეში დადგენადი ყოფილიყო ერთი - გეოგრაფიული არეალები, და მეორე რომელ პერიოდებში (დღის, საათის) ხდებოდა გატაცებები, რომ გაშიფრულიყო მათი (ოკუპანტების) ტაქტიკა. ეს ყველაფერი გავაკეთე, გამოვკვეთე ადგილები და შეიქმნა ფართო სურათი. ამ დოკუმენტის მიხედვით, გამოიკვეთა გარკვეულ ლოკაციებზე საგუშაგოს დამატების, ზოგან პატრულირების გაძლიერების, ზოგან კი სათვალთვალო მოწყობილობების დაყენების საჭიროება. ეს დოკუმენტი სუს-ში 2021 წელის ზაფხულში წარვადგინე, შემპირდნენ, რომ გაიტანდნენ პარლამენტში განსახილველად და მომცემდნენ პრაქტიკაში განხორციელების შესაძლებლობას, მაგრამ მას შემდეგ ამ საკითხით არავინ დაინტერესებულა...“ - აღნიშნა პოლკოვნიკმა ირაკლი შაიშმელაშვილმა. აქვე, ყოფილმა მაღალჩინოსანმა **საოკუპაციო ხაზის** გასწვრივ მცხოვრებ მოსახლეობას ურჩია - **„გატაცების თავიდან არიდების მიზნით, ისეთ ადგილებში, სადაც ქართველი სამართალდამცველები არ არიან, არ პატრულირებენ ან საგუშაგო არ არსებობს - არ გადაკვეთონ საოკუპაციო ხაზი (არც სასაფლაოზე გადასავლელად, არც ეკლესიაში მოსალოცად), წინააღმდეგ შემთხვევაში დააკავებენ. აუცილებელია, მოსახლეობამ მკაცრად მოსთხოვოს ხელისუფლებას საგუშაგოების დამატება და საპატრულო მარშრუტების გაზრდა. ხმა ამოიღოს და დაიცვას საკუთარი უფლებები...“**

საოკუპაციო ხაზზე რუსული ტერორის ქვეშ ცხოვრება გრძელდება. როგორც სამხედრო მიმომხილველები საუბრობენ, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, გარკვეულწილად რუსული ძალები რეგიონში შემცირდა, თუმცა გატაცების და უკანონო დაკავების საფრთხე კვლავ მაღალია. რეგიონში, სადაც უამრავი შერეული ოჯახია, ოკუპაციის გამო, ჩატეხილ ხიდს ყველა მტკივნეულად განიცდის. სწორედ ეს იყო კირბალელი ირმა პაპიტაშვილის ყველაზე დიდი გულისტკივილიც - **„ბევრნი არიან, აი ჩემნაირები ბევრნი არიან, რძლები, სიძეები, ოჯახი... არც არის ისეთი, ვისაც ოსის წიბო არ ჰყავდეს... მაგრამ აირია ქვეყანა, დაირია... ისე დამეხოცა დედ-მამა... შინაურიც რომ შემოვიდეს მამის მხრიდან თუ დედის მხრიდან, ვერც ვიცნობ. ძმის შვილი გოგო გათხოვილა, მაგრამ ჩემს ეზოში რომ შემოვიდეს ვერ ვიცნობ იმიტომ, რომ როდესაც მე წამოვედი პატარა იყო...“**

გიორგი თუხარელი
ჟურნალისტი



როგორ აირჩია ევროპამ მშვიდობა და სტაბილურობა?!

დაფიქრებულხართ, როგორ იქცა ევროკავშირი მშვიდობის, ერთობისა, და უსაფრთხოების სინონიმად?!

დიახ – მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების განმავლობაში ევროპის კონტინენტი ომებით, დაქსაქსულობითა და დაპირისპირებებით იყო სავსე, აგერ უკვე 70 წელზე მეტია იგი ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის კეთილდღეობისა და დაცულობის გარანტად არის ქცეული. და თუ როგორ მოახერხა ეს ევროპის გაერთიანებამ – ამას სწორედ სტატიის მომდევნო სტრიქონებში ამოიკითხავთ.

ორმა მსოფლიო ომმა ევროპული სახელმწიფოები მნიშვნელოვნად დააზარალა – რისი ადამიანური თუ ეკონომიკური ფასიც განუზომლად დიდი აღმოჩნდა. საჭირო იყო სისტემური ცვლილებები.

სწორედ ამის ფონზე აღმოცენდა ერთიანი ეკონომიკური კავშირის შექმნის იდეა, რომელიც მშვიდობიანი და განვითარებული საზოგადოებების შექმნას ისახავდა მიზნად. ფაქტია, ჩანაფიქრი წარმატებით ხორციელდება დღემდე.

ევროკავშირის სამშვიდობო პოლიტიკა

დღესდღეობით, ევროკავშირის სამშვიდობო პოლიტიკა მრავალმხრივია თავისი ხასიათით. მშვიდობის დასამყარებლად ევროკავშირი სხვადასხვა ინსტრუმენტებსა და გზებს იყენებს, მაგალითად, კონფლიქტების პრევენცია და მედიაცია, კრიზისებზე რეაგირება და სამშვიდობო მისიების გაგზავნა კონფლიქტის ადგილებში. ეს ყველაფერი კი ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის საერთო პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში კეთდება.

რაც მთავარია, ევროკავშირი ყოველთვის მოქმედებს ისეთი უმაღლესი ფასეულობების შესაბამისად, როგორებიცაა: ადამიანური ღირსება, კანონის უზენაესობა, თანასწორობა, ადამიანის უფლებების დაცვა და ა.შ.

ევროკავშირის **PEACE** (მშვიდობა) პროგრამამ ***ჩრდილოეთ ირლანდიაში,*** ათწლეულებით გაგრძელებული ძალადობრივი კონფლიქტის შემდეგ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შერიგების მხარდაჭერაში. თემთაშორისი პროექტების, ახალგაზრდული ინიციატივებისა და ადგილობრივი განვითარების დაფინანსებით, პროგრამამ გაყოფილ ჯგუფებს შორის ნდობის აღდგენას შეუწყო ხელი. ევროკავშირმა ამ ძალისხმევაში 2.3 მილიარდ ევრომდე ინვესტიცია ჩადო. PEACE კვლავ იმის ნათელ მაგალითად რჩება, რომ ევროკავშირი მშვიდობას არა მხოლოდ პოლიტიკის, არამედ ხალხთა შორის კავშირების მეშვეობითაც უწყობს ხელს.

კვიპროსი, რომელიც 1974 წლიდან არის გაყოფილი საბერძნეთსა და თურქეთს შორის, თუმცა მაინც მოახერხა ევროკავშირის წევრი გამხდარიყო 2004 წელს. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი პირდაპირ არ არის ჩართული სამშვიდობო პროცესში, ის აქტიურად უჭერს მხარს გაეროს ეგიდით მიმდინარე მოლაპარაკებებს, რომლებიც კუნძულის გაერთიანებას ისახავს მიზნად. 2006–2021 წლებში ევროკავშირმა 700 მილიონი ევრო ჩადო ჩრდილოეთ კვიპროსის ეკონომიკურ განვითარებაში, ასევე ინფრასტრუქტურულ და საგანმანათლებლო პროექტებში, რაც თურქი კვიპროსელე ბის საბოლოო ინტეგრაციას ისახავდა მიზნად.

ევროკავშირის კანონმდებლობა ჩრდილოეთ კვიპროსში არ მოქმედებს, თუმცა „მწვანე ხაზის“ რეგულაციით ევროპული გაერთიანება ორ მხარეს შორის გადაადგილებასა და ვაჭრობას უწყობს ხელს, რაც თავის მხრივ თემთა შორის ნდობას და ყოველდღიურ თანამშრომლობას ამყარებს. ეს გრძელვადიანი ჩართულობა მშვიდობიანი თანაარსებობისა და დიალოგის მიმართ ევროკავშირის ერთგულებას ასახავს.

ევროგაერთიანება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მშვიდობის, სტაბილურობისა და დიალოგის ხელშეწყობაში კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში, არა მხოლოდ ევროკავშირის შიგნით, არამედ მის სამეზობლოსა და მსოფლიოს სხვა რეგიონებშიც.

მაგალითისათვის, აღსანიშნავია ევროკავშირის სამოქალაქო, შეუიარაღებელი **სადამკვირვებლო მისია *საქართველოში*** (EUMM - EU Monitoring Mission), რომელიც 2008 წლიდან მოქმედებს. ეს არის ერთად-ერთი საერთაშორისო წარმომადგენლობა ადგილზე. იგი საქართველოს სუვერენიტეტისა და მშვიდობის მიმართ ევროკავშირის გრძელვადიანი ერთგულების სიმბოლოს წარმოადგენს. მისიის მთავარი მიზანია ადგილზე ვითარების დაკვირვება, ინციდენტებზე ანგარიშების მომზადება და რეგიონში უსაფრთხოების გაუმჯობესებაში წვლილის შეტანა.

მკურნალი ქალღმერთი ალთეა (ALTHEA) და მშვიდობის მშენებლობა

ევროკავშირის სამშვიდობო მისიების ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს **ოპერაცია ალთეა (ALTHEA)** ***ბოსნია-ჰერცეგოვინაში***.

შეხსენებისთვის, ბოსნია-ჰერცეგოვინა დასავლეთ ბალკანეთში მდებარეობს. 2024 წლის მარტში ოფიციალურად გაიხსნა მისი, როგორც ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის ევროკავშირთან გაწევრიანების მოლაპარაკებები, რაც ევროინტეგრაციის ერთ-ერთ ფინალურ ნაბიჯს წარმოადგენს.

ყოფილი იუგოსლავიის ერთ-ერთი რესპუბლიკა, ბოსნია-ჰერცეგოვინა 1992 წელს მძიმე და სისხლიან ომში ჩაერთო. ომმა 100,000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ქვეყანა განადგურების ზღვარზე მიიყვანა. ომი მხოლოდ 1995 წელს, საერთაშორისო საზოგადოების დახმარებით დასრულდა. შედეგად, პარიზში დაიდო მშვიდობის ხელშეკრულება, რომელიც ცნობილი გახდა როგორც „დეიტონის შეთანხმება“. სწორედ აქედან იწყება ხანგრძლივი და რთული გზა ბოსნიის მშვიდობისა და განვითარებისთვის.

2004 წლის 2 დეკემბერს, ომის დასრულებიდან 9 წლის შემდეგ ევროკავშირმა ბოსნია-ჰერცეგოვინაში სამშვიდობო მისია, სახელწოდებით **ოპერაცია ალთეა (ALTHEA)** წამოიწყო — ეს ევროკავშირის მხრიდან ბოსნია-ჰერცეგოვინასთვის გაწეული ძლიერი და მრავალმხრივი მხარდაჭერის მხოლოდ ნაწილია.

ოპერაცია „ალთეა“ არის ევროკავშირის ისტორიაში მესამე და ყველაზე მასშტაბური სამხედრო მისია. მისი მთავარი ამოცანებია:

- ბოსნია-ჰერცეგოვინას არმიის გაწვრთნა და გაძლიერება;
- ქვეყნისთვის უსაფრთხო და სტაბილური გარემოს შენარჩუნება;
- დეიტონის შეთანხმების პირობების შესრულების მონიტორინგი და დაცვა;

დაახლოებით 7,000 ჯარისკაცით, ევროკავშირის სამშვიდობო ძალა (EUFOR) კვლავ უზრუნველყოფს სტაბილურობას და მშვიდობას ბოსნია-ჰერცეგოვინაში.

ოპერაციის სახელიც საკმაოდ სიმბოლურია: ალთეა — ბერძნულ მითოლოგიაში იყო მკურნალი დედა, რომელიც საკუთარი შვილის გადასარჩენად ცეცხლსაც კი შეეჭიდა. ევროკავშირის მიზანიც ომის ცეცხლის შეჩერება და ბოსნიის დახმარებაა მის მრავალეთნიკურ მოსახლეობასთან ერთად.

„ალთეა“ დღეს ბოსნიის ევროინტეგრაციის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია და ქვეყნის გაძლიერებასა და ევროპულ ოჯახში ღირსეულად გაწევრიანებას ემსახურება.

ევროპის სამშვიდობო გზა

**ევროკავშირი მაგალითია იმისა, რომ მშვიდობა მხოლოდ იარაღის არარსებობა არ არის.
ეს არის ყოველდღიური ძალისხმევა, დიალოგი, სოლიდარობა და ერთმანეთის პატივისცემა.
უსაფრთხო და მშვიდობიანი მომავლისთვის აუცილებელია ერთობა,
გაყოფილი საზოგადოებების გაერთიანება და დემოკრატიული განვითარებისკენ სწრაფვა.
საქართველო ყოველთვის იყო ევროპული ცივილიზაციის ნაწილი.
სახელმწიფოსთვის ევროპული ინტეგრაცია კი ნიშნავს – მეტ უსაფრთხოებას, მეტ სტაბილურობას და
მეტ შესაძლებლობებს ჩვენი მოქალაქეებისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის.
როცა ვფიქრობთ ევროპაზე, გვახსოვდეს, რომ ევროპა, პირველ რიგში, სამშვიდობო პროექტს წარმოადგენს.**

მარიამი ჯაფარიძე
ევროპული ინტერდისციპლინური კვლევების მაგისტრი